07/10/2024

MES 7 24 0001280582

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25. 09. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I, II, III, VI)
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (IV, V)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1.თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13.დიანა მჭედლიშვილი –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. ქეთევან ნანობაშვილი – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
16. გიორგი მირიანაშვილი – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. მაგდა ბოლოთაშვილი – სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე მოწვეული დამსწრე წევრები:

1. კახაბერ ჩიხრაძე - შპს „ამერიკული ჰოსპიტლის“ თბილისის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. ნინო გაგუა - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტი;
5. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. კახაბერ ვანიშვილი - შპს „ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ დირექტორის მოადგილე;
7. დავით თოთაძე - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
8. ზვიად კირტავა -შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;

9. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის" დირექტორი;
12. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
13. ნინო შარიქაძე -შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მანანა გიორგობიანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ შარაშენიძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
ია ეგნატიევა - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
თეიმურაზ სართანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი სართანია - უნივერსიტეტის იურისტი.

სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მამული ბუჭუხიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი;
ვლადიმერ ადეიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
იაგორ ბალანჩივაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
ელისო ელისაშვილი - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კანცლერი;
მარიამ დარბაიძე - ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
სოფიკო თევდორაძე - ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი;
ლიკა ხარებავა - ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის უფროსი;
თათული დოლიძე - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
ბორის გითოლენდია - სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
ნია ნათბილაძე - სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გიორგი ჯაფარიძე - "მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
გივი სანაძე - "მექანიკის ინჟინერიის" ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ვაჟა ქირია - "მექანიკის ინჟინერიის" ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მერაბ კახიანი - პროფესორი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
იოსებ ხელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
მერაბ ხოხობაია - ფაკულტეტის სამეცნიერო განვითარების სამსახურის უფროსი;
მარინა ჩავლეიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ია ნაცვლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან ჩიტალაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;

აკრედიტაციის ექსპერტები
მუჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიდი - I საკითხი
შოთა სილაგაძე - I საკითხი
მიხეილ გიორგაძე - II საკითხი
ეკა დევიძე - III და VI საკითხები
მამუკა ბენაშვილი - IV და V საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ I, II, III, VI საკითხებზე, ხოლო IV, V საკითხებზე სხდომას უხელმძღვანელა გოჩა თუთბერიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - ს "ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერის უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - ს "ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერის უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

პროგრამის დასახელება: მედიცინა
საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 360

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს თამარ ტუფინაშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, მუჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიდი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ ანგარიშს დასაწყისში წამძღვარებული ჰქონდა ზოგადი შეჯამება, სადაც მოცემული იყო ყველა მიგნება. მისი თქმით, წარმოდგენილ დასკვნაში აღწერილია სტანდარტების და კომპონენტების (17 კომპონენტი) მიხედვით შეფასებები. ჩვიდმეტი კომპონენტიდან დაწესებულებამ ოთხ კომპონენტში დაადასტურა სტანდარტებთან შესაბამისობა. სამი კომპონენტი მეტწილად, ხოლო ცხრა კომპონენტი ნაწილობრივ შეფასდა სტანდარტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ერთ კომპონენტი შეაფასა, როგორც არ "არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, თემურ სართანია, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას დიდი ხნის განმავლობაში ახორციელებდა წარმატებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში პროგრამულ ნაწილზე მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოკვეთილა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში რამდენიმე წელია არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის ელემენტებს, შეფასების განხორციელების პროცედურებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითადად შედეგებს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების აღნიშნული მექანიზმები გამიჯნულია სტუდენტთა შეფასების სისტემისგან.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისა და შედეგების გამოყენების პროცედურა. ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლებიც განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და შედეგების გამოყენების მექანიზმებს და მათ გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამების და მისი კომპონენტების გაუმჯობესებისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მანანა გიორგობიანმა, მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. მისი თქმით, როგორც

პრაქტიკა ცხადყოფს, „კრიტიკული აზროვნება“ არის ცალკე დისციპლინური დარგი. სტუდენტის მიერ ამ საგნის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია მისი გავრცელება სხვადასხვა საგნებში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია არ უნდა ატარებდეს რეკომენდაციის ხასიათს.

მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „დიფერენციალური დიაგნოსტიკა“ უნდა იყოს ცალკე საგანი, რადგან ეს დისციპლინური დარგი არის კუმულაცია ჰოსპიტალური მუშაობის. ის შეიცავს კონსულტაციებს, გამოკვლევასა და მის ინტერპრეტირებას, დიაგნოზს და პაციენტის მართვას. ამ საგნის პირობებში დაწესებულებას აქვს იმისი საშუალება, რომ გამოიყენოს ისეთი შეფასების მეთოდი, როგორიცაა მინდობილი პრაქტიკა. ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „ლაბორატორიები დაწესებულებაში სათანადოდ აღჭურვილი არ არის“. ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს არაჩვეულებრივი თანამედროვე ლაბორატორიები. შესაბამისად, გაუგებარია თუ რატომ არის ეს საკითხი ექსპერტების მხრიდან უარყოფითად შეფასებული. ექსპერტები დასკვნაში საკითხების შეფასებას აგფუძნებელ სტუდენტთა აზრს. ეს არის პარადოქსი, რადგან უნივერსიტეტს ამ პროგრამაზე სტუდენტები არ ჰყავს. მან აღნიშნა, რომ შეუძლებელია ე.წ. „ლონგ ბუქებში“ ამა თუ იმ სამედიცინო პროცედურის ჩატარების წინასწარ დაგეგმვა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებას არ აქვს გარე შეფასება მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს აქვს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელებული ბრწყინვალე გარე შეფასება. მანანა გიორგობიანმა პედაგოგების გადამზადებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი არ ზოგავს ძალას იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთარი პედაგოგები გადაამზადოს და ჩაუტაროს შესაბამისი ტრენინგები. ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა შვიდი ტრენინგი. დაწესებულება ცდილობს, რომ არ ჩამორჩეს სწავლების ახალ მეთოდებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლინიკური უნარების ცენტრში დასაქმებულია არა ერთი, არამედ ოთხი პედაგოგი. ასევე „OSCE“ ცენტრი უზრუნველყოფილია შესაბამისი მანეკენებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ სართანიამ ოცდამეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტების სტატისტიკური მონაცემების ასახვა ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა სხვადასხვა დოკუმენტში ამ ეტაპზე ორი მიზეზით. პირველი მიზეზი არის ის, რომ პროგრამა გადის აკრედიტაციის პროცესს, ხოლო მეორე მიზეზი არის ის, რომ პროგრამაზე არ სწავლობენ სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა საერთაშორისო ექსპერტს. მას აინტერესებდა, რამდენად ინტეგრირებული იყო მედიცინის პროგრამა. ასევე იყო თუ არა პრობლემა პროგრამის კომპოზიციასა და სტრუქტურაში.

საერთაშორისო ექსპერტმა, მუჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიდმა განაცხადა, რომ მედიცინის სფეროში ჰქონდა ორმოცწლიანი გამოცდილება და იცოდა როგორია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სწავლა - სწავლების სტრატეგია. ერთია უნივერსიტეტს ჰქონდეს დაწერილი დოკუმენტი და მეორეა, ის როგორ ხორციელდება. იმ სტუდენტთა კონტინგენტის მიღებას, რომელსაც დაწესებულება გეგმავს, უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა PBL სწავლის შესაძლებლობას. მსგავსი შემთხვევა არსებობს უნარ-ჩვევების ლაბორატორიასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა არა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს, არამედ უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ სტუდენტებს, რომლებსაც მედიცინის ძველ პროგრამაზე ჰქონდათ სწავლების გამოცდილება. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში დანერგილი უნდა იყოს სრული და ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რადგან ერთია ქულის დაწერა, ხოლო მეორეა როგორი სისტემით ხდება ამ ქულის დაწერა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40

დასრულების დრო: 14:50

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზეპირი მოსმენაზე გამოვლენილი საკითხებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, საბჭომ მიიჩნია, რომ საბჭოს მიერ პოზიციების შეჯერებისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის, მიზანშეწონილი იყო ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობის დასწრება. საბჭომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის, საჭიროა ზოგიერთი დეტალის ირგვლივ ექსპერტთა მიერ მოსაზრებების გაზიარება, რის საფუძველზეც საბჭომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადადო შემდგომი სხდომისათვის.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება (დასახელება მითითებულია საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად ფორმირებული სახელწოდების მიხედვით)
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების მაგისტრი (მისანიჭებელი კვალიფიკაცია მითითებულია საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად ფორმირებული სახელწოდების მიხედვით)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 განათლების მეცნიერება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიხეილ გიორგაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები უკავშირდებოდა შინაარსობრივ საკითხებს, კერძოდ, სასწავლო კურსებს შორის გადაფარვების პრობლემას, გარკვეული კურსებისათვის შინაარსის გადახედვას იმ მიზნით, რომ მეტად ორიენტირებული ყოფილიყო განათლების კონტექსტზე, სამიზნე ნიშნულების შესაბამისობაში მოყვანას ზოგადსაუნივერსიტეტო წესთან და ანალოგების განხილვას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა, თუმცა პროგრამის შესწავლის პროცესში ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებასთან და პროგრამის

დასახელებასთან დაკავშირებით იყო უზუსტობა დაშვებული. კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ასევე, სასურველია პროგრამის დასახელებაც) უნდა ყოფილიყო არა "განათლების მეცნიერებები", არამედ "განათლების მეცნიერება". დაწესებულებამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. ამის შესაბამისად, უნივერსიტეტმა წარმოადგინა კორექტირებული პროგრამის აღწერის დოკუმენტი, თუმცა მხოლოდ ძირითად დოკუმენტზე დაყრდნობით ექსპერტებმა ვერ მიიღეს გადაწყვეტილება რეკომენდაციის შესრულების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით გამოველნილი უზუსტობა უკვე გასწორებულია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. ვლადიმერ ადეიშვილმა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასულ სემესტრში დამთავრებულ კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიენიჭა არა განათლების მეცნიერებებში, არამედ განათლების მეცნიერებაში. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი გასწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტის რომელ იურიდიულ ძალის მქონე დოკუმენტში წერია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების შესახებ ინფორმაცია.
ვლადიმერ ადეიშვილმა განაცხადა, რომ არსებობს კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება, რომელშიც მოცემულია არა "განათლების მეცნიერებების", არამედ "განათლების მეცნიერების" მაგისტრი. თუ საჭირო გახდება, უნივერსიტეტი მზად არის აკრედიტაციის საბჭოს გაუზიაროს აღნიშნული დოკუმენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:52
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ აკაკი

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ დააკორექტირა აღნიშნული პროგრამის დასახელება და ნაცვლად "განათლების მეცნიერებებისა", ჩამოყალიბდა როგორც - "განათლების მეცნიერება".
ასევე დააკორექტირა პროგრამის მიზანიჭებელი კვალიფიკაცია, და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - "განათლების მეცნიერების მაგისტრი".

მესამე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - ს "ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ტურიზმი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ეკა დევიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. მისი თქმით, პირველი სტანდარტის 1.2, 1.4 კომპონენტები, მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტი და მეოთხე სტანდარტის 4.4. კომპონენტი, შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების) ჩართულობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი აქტივობების განახორციელებას. უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია სრულად

შეასრულა. დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავს, რომ ეს პროცესი არის დინამიკური და პროგრამის განვითარებასთან ერთად უნივერსიტეტი ყოველწლიურად იქნება ორიენტირებული აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელებასა და მონიტორინგზე.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებისთვის: „საერთაშორისო ტურიზმი“, „აგრო ტურიზმი“, „ეკო ტურიზმი“ და „გარემოს დაცვა“ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სტატუსის მინიჭებას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა მოცემული რეკომენდაცია შეასრულა. არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან აღნიშნული სასწავლო კურსები გადავიდა ძირითად სასწავლო კომპონენტში და ცვლილება აისახა პროგრამის კურიკულუმში.
მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებების გაძლიერების უზრუნველყოფას ტურიზმის მიმართულებით. უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროგრამაში ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის პროგრამული უზრუნველყოფის სათანადო მოცულობით ჩართვას.
ეკა დევიძის თქმით, უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა. ამრიგად, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჯიუ-მ სრულად გაითვალისწინა პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, მარიამ დარბაიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რეკომენდაციები და რჩევები გაცემული იყო პროგრამის განვითარების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 16:08

დასრულებისდრო: 16:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - ს "ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - ს "ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

პროგრამის დასახელება: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია.
საფეხური: მაგისტრატურა.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მექანიკის ინჟინერის და ტექნოლოგიის მაგისტრი.
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0715 მექანიკა და ლითონის საქმე.
სწავლების ენა: ქართული.
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და თამარ ლომინაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების მიხედვით, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ აკრედიტაციის საბჭომ პროგრამას განუსაზღვრა თორმეტი რეკომენდაცია შესასრულებლად. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული 12 რეკომენდაციიდან 10 რეკომენდაცია შესრულებულია, ხოლო 2 რეკომედაცია შესრულებული არ არის. ერთ-ერთი შეუსრულებელი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმებს. კვლევის მიზანი, ამოცანები, დასაბუთება და კითხვა-პასუხი უნდა ყოფილიყო შეფასებული შესაბამისი კრიტერიუმით, რომელიც უნდა ჩანდეს შეფასების წესში. მეცხრე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები დადებითი შეფასების გამოანგარიშების თაობაზე ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს“. უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია არ შეასრულა, რადგან დაწესებულებამ წარმოადგინა იგივე დოკუმენტი, რაც ექსპერტთა ჯგუფმა იხილა აკრედიტაციის ვიზიტის დროს. მან დასძინა, რომ უნივერსიტეტმა არცერთი რჩევა არ გაითვალისწინა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების თანამშრომლებმა ვერანაირი შეუსაბამობა წარმოდგენილ ჩანაწერებში ვერ აღმოაჩინეს. ოქმი და ბიულეტენი, რომელიც თითოეულ შემფასებელს აქვს ინდივიდუალურად, ინახება დეკანატში, მაგისტრანტის პირად საქმეში. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაგისტრატურის შესახებ

დებულებას აქვს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს საკვლევი პრობლემის აქტუალობასა და აღწერას. საკვლევი პრობლემის აღწერის ნაწილში იკვეთება მაქსიმალურად ის საკითხები რა მიმართულებითაც ახორციელებს მაგისტრანტი მუშაობას. მეორე კრიტერიუმი, რომელსაც ითვალისწინებს მაგისტრატურის შესახებ დებულება, არის საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. მესამე კრიტერიუმი არის ის მეთოდები, რა მეთოდებიც გამოიყენა კვლევის შესრულებისას. მეოთხე კრიტერიუმს წარმოადგენს კვლევის შედეგების განსჯა. მეხუთე კრიტერიუმია კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება, ხოლო მეექვსე კრიტერიუმს წარმოადგენს ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებობს ცალკე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული კრიტერიუმის შეფასების წესი და ქულა. ამრიგად, აღნიშნული კრიტერიუმები თავიდან ბოლომდე პასუხობს კვლევითი კომპონენტის შედგენის თანამედროვე მიდგომებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა მეშვიდე რეკომენდაცია.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციის შინაარსი გულისხმობდა „კვლევის მიზნისა და ამოცანების“, „დასაბუთების“ და „კითხვა-პასუხის“ კრიტერიუმების შეფასებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ მოცემული კრიტერიუმებით არ ფასდებოდა, მაგრამ ფასდებოდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმებით სამაგისტრო ნაშრომი. წინა დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი: „შეფასების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე საგამოცდო კომისიას უცხადებს პროცედურის შედეგებს და შესაბამისი ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, საგამოცდო კომისიის დამსწრე წევრთა არანაკლებ ¾-ის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.“ მაგალითად, თუ საგამოცდო კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგანაც 3 წევრი წერს დადებით შეფასებას (ვთქვათ, 70 ქულას), მაგრამ 2 წევრი აფიქსირებს უარყოფით შეფასებას (40 ან დაბალ ქულას), გამოდის, რომ კომისიის 5 წევრიდან რადგან ¾ არ აფასებს დადებითად სამაგისტრო ნაშრომს, შეიძლება უარყოფითი შედეგი დადგეს. ამ შემთხვევაში 5-ვე წევრის ქულების შეჯამებისას საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით შეიძლება გამოვიდეს დადებითი შეფასება (51 ან მეტი ქულა). ამრიგად, მოცემული რეკომენდაცია სწორია და უნივერსიტეტის მხრიდან პროცედურულ ნაწილი დასახვეწია. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ¾-ში იგულისხმებოდა მხოლოდ ოქმის დამტკიცება და არა მაგისტრანტის ნაშრომის შეფასება. ეს ყველაფერი მოცემული იყო მაგისტრატურის შესახებ დებულებაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს. მისი თქმით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხებოდა სასწავლო კურსებში თემატიკების განახლებას. მას აინტერესებდა, რამდენად იქნა ეს თემები განახლებული. მაგალითად, „მანქანათა ნაწილების და მანქანათა დანადგარების კონსტრუირების“ სილაბუსის სასწავლო თემებში მოცემული საკითხები, კერძოდ, „ცილინდრული ორკბილა გადაცემები“, „ცილინდრული კბილანური გადაცემები“ და ა.შ. ისწავლება საბაკალავრო პროგრამაზე. შესაბამისად, რამდენად რელევანტურია მსგავსი საკითხების განმეორებით სწავლება სამაგისტრო საფეხურზე.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებში თემატიკების განახლების კუთხით უნივერსიტეტმა დიდი შრომა გაწია, თუმცა პატარა ხარვეზები მაინც შეინიშნება სასწავლო კურსებში. შესაბამისად, ამ პრობლემის მოსაგვარებლად გაიცა რეკომენდაცია, რომელიც უნივერსიტეტმა გაიზიარა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ „ცილინდრული კბილანური გადაცემა“ ისწავლება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ისწავლება ზოგადი ცნებები ცილინდრული კბილანური გადაცემის შესახებ, გეომეტრია და კინემატიკა, ხოლო მეორე საფეხურზე ისწავლება გაანგარიშება და

კონსტრუირება. ამრიგად, უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე აღნიშნული საკითხის შესწავლა განსხვავებულად ხდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
პროგრამის დასახელება: მექანიკის ინჟინერია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0715 მექანიკა და ლითონის საქმე
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და თამარ ლომინაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების მიხედვით, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია უნივერსიტეტმა შეასრულა. ამ პროგრამაზე ბევრი უცხოელი სწავლობს. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს ინგლისურენოვან თანამედროვე ლიტერატურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:06

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერის უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

პროგრამის დასახელება: „ტურიზმი“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან; „ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა“ ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის მხრიდან.
საფეხური: მაგისტრატურა.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- ტურიზმის მაგისტრი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან;
- ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი - ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის მხრიდან.

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება.

სწავლების ენა: ქართული, ფრანგული ენის კომპონენტით.
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ვასილ კიკუტაძემ, გიორგი ღაღანიძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ეკა დევიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, პირველი სტანდარტის კომპონენტები 1.3, 1.4, 1.5, მეორე სტანდარტის 2. 2 კომპონენტი, მესამე სტანდარტის 3.2. კომპონენტი და მეხუთე სტანდარტის 5.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ამრიგად, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რჩევა და რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:12
დასრულების დრო: 17:24

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერის უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2^{1} – 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერის უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:25 სთ-ზ ე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად